

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

## „იფელი პირველი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2020

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იფქლი პირველი“

## სარჩევი

|                                                            |      |
|------------------------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                   | 3    |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 4    |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება .....                      | 5    |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....               | 6    |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....                    | 7-12 |

|                                                                                            |    |
|--------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                                                  | 7  |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....                                        | 7  |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....                                                                | 7  |
| 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები..... | 9  |
| 5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....                                                           | 10 |
| 6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება .....                                                  | 10 |
| 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                                 | 10 |
| 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....                                    | 11 |
| 9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....                                                     | 12 |
| 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                                       | 12 |
| 11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....                                          | 12 |
| 12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება .....                                                | 12 |

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

|                                             | შენიშვნები | 2019 წლის 31<br>დეკემბერი | 2018 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------------------------|------------|---------------------------|---------------------------|
| <b>აქტივები</b>                             |            |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                |            |                           |                           |
| ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება    | 8          | 1,283,742                 | 1,397,678                 |
| არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება | 8          | 2,521                     | 1,100                     |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                  |            | -                         | -                         |
| <b>მთლიანი გრძელვადიანი აქტივები</b>        |            | <b>1,286,264</b>          | <b>1,398,778</b>          |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                   |            |                           |                           |
| მარაგები                                    | 9          | 568,270                   | 456,291                   |
| გაცემული ავანსები                           |            | 104,075                   | 98,112                    |
| მოკლევადიანი მოთხოვნები                     | 10         | 1,263,216                 | 1,006,918                 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები       |            | 649,325                   | 314,155                   |
| სხვა მიმდინარე აქტივები                     |            | 7,644                     | 5,774                     |
| <b>მთლიანი მიმდინარე აქტივები</b>           |            | <b>2,592,531</b>          | <b>1,881,250</b>          |
| <b>სულ აქტივები</b>                         |            | <b>3,878,795</b>          | <b>3,280,028</b>          |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>            |            |                           |                           |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |            |                           |                           |
| მიღებული ავანსები                           |            | -                         | -                         |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                  |            | 282,428                   | 207,675                   |
| გადასახდელი ხელფასები                       |            | 45,548                    | -                         |
| მოკლევადიანი სესხები                        |            | -                         | -                         |
| საგადასახადო ვალდებულებები                  |            | 31,117                    | 42,063                    |
| დარიცხული გადასახდელი დივიდენდი             |            | -                         | -                         |
| <b>მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები</b>   |            | <b>359,092</b>            | <b>249,738</b>            |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |            |                           |                           |
| გრძელვადიანი სესხები                        |            | 508,052                   | -                         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>       |            | <b>508,052</b>            | <b>-</b>                  |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                |            | <b>867,144</b>            | <b>249,738</b>            |
| <b>კაპიტალი</b>                             |            |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                          |            | 600,000                   | 600,000                   |
| გაუნაწილებელი მოგება                        |            | 1,165,808                 | 760,385                   |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი        |            | 297,149                   | 721,212                   |
| სხვა რეზერვები                              |            | 948,693                   | 948,693                   |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |            | <b>3,011,650</b>          | <b>3,030,290</b>          |
| <b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>    |            | <b>3,878,795</b>          | <b>3,280,028</b>          |

ხელმძღვანელობის სახელით:

ავი ისრაელ  
დირექტორი

2020 წლის 24 სექტემბერი  
თბილისი, საქართველო

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

( ქართულ ლარში )

|                                                            | შენიშვნები | 2019 წლის 31<br>დეკემბერი | 2018 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------------------------------------------|------------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                                   | 5          | 7,704,957                 | 7,091,741                 |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება                        | 6          | (4,831,351)               | (4,861,643)               |
| <b>საერთო მოგება</b>                                       |            | <b>2,873,607</b>          | <b>2,230,098</b>          |
| ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები                      | 7          | (2,071,908)               | (1,291,985)               |
| ცვეთის ხარჯი                                               |            | (233,865)                 | (231,129)                 |
| კომერციული ხარჯები                                         |            | -                         | -                         |
| რისკიანი მოთხოვნების ხარჯები                               |            | -                         | -                         |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                                      |            | (102,767)                 | (67,935)                  |
| <b>მთლიანი საოპერაციო მოგება</b>                           |            | <b>465,066</b>            | <b>639,048</b>            |
| კურსთა შორის სხვაობა                                       |            | (4,059)                   | (2,782)                   |
| საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი                                |            | (10,661)                  | -                         |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი                        |            | (97,469)                  | 97,381                    |
| <b>მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>       |            | <b>352,877</b>            | <b>733,647</b>            |
| მოგების გადასახადი                                         |            | (55,728)                  | (12,435)                  |
| <b>გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის</b> |            | <b>297,149</b>            | <b>721,212</b>            |

ხელმძღვანელობის სახელით:

ავი ისრაელ  
დირექტორი

2020 წლის 24 სექტემბერი  
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

( ქართულ ლარში )

|                           | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სხვა რეზერვები | სულ              |
|---------------------------|-----------------------|-------------------------|----------------|------------------|
| <b>1 იანვარი, 2018</b>    | <b>600,000</b>        | <b>1,276,033</b>        | <b>948,693</b> | <b>2,824,726</b> |
| გაცემული დივიდენდი        | -                     | (515,647)               | -              | (515,647)        |
| მოგება წლის განმავლობაში  | -                     | 721,212                 | -              | 721,212          |
| საწესდებო კაპიტალი        | -                     | -                       | -              | -                |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>600,000</b>        | <b>1,481,597</b>        | <b>948,693</b> | <b>3,030,290</b> |
| გაცემული დივიდენდი        | -                     | (315,789)               | -              | (315,789)        |
| მოგება წლის განმავლობაში  | -                     | 297,149                 | -              | 297,149          |
| საწესდებო კაპიტალი        | -                     | -                       | -              | -                |
| <b>31 დეკემბერი, 2019</b> | <b>600,000</b>        | <b>1,462,957</b>        | <b>948,693</b> | <b>3,011,650</b> |

ხელმძღვანელობის სახელით:

ავი ისრაელ  
დირექტორი

2020 წლის 24 სექტემბერი  
თბილისი, საქართველო

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

|                                                          | 2019 წლის 31<br>დეკემბერი | 2018 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>          |                           |                           |
| კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები                   | 8,818,946                 | 8,195,520                 |
| მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები | (7,559,709)               | (6,704,419)               |
| გადახდილი გადასახადები                                   | (885,456)                 | (810,056)                 |
| <b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>              | <b>373,781</b>            | <b>681,046</b>            |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>        |                           |                           |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                             | (240,822)                 | (87,957)                  |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                            | 7,380                     | 34,860                    |
| საპროცენტო შემოსავლები                                   |                           | 71                        |
| <b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>            | <b>(233,442)</b>          | <b>(53,026)</b>           |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>           |                           |                           |
| გადახდილი დივიდენდები                                    | (300,000)                 | (473,100)                 |
| სესხის აღება                                             | 681,592                   |                           |
| სესხის დაფარვა                                           | (170,625)                 |                           |
| პროცენტის გადახდა                                        | (10,661)                  |                           |
| ფულადი ნაკადები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან         | (5,476)                   | (2,084)                   |
| <b>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</b>               | <b>194,831</b>            | <b>(475,184)</b>          |
| <b>წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)</b>                   | <b>335,170</b>            | <b>152,836</b>            |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>   | <b>314,156</b>            | <b>161,320</b>            |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>        | <b>649,325</b>            | <b>314,156</b>            |

ხელმძღვანელობის სახელით:

ავი ისრაელ  
დირექტორი

2020 წლის 24 სექტემბერი  
თბილისი, საქართველო

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იფელი პირველი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 404955198) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გომიაშვილის ქუჩა № 22/24. საწარმოს მესაკუთრეები არიან ფიზიკური პირები:

ორლი (ოფელია) მიხაელი 66%

ტატიანა ბაკურაძე 34%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა პურისა და ნამცხვრების წარმოება და რეალიზაცია.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

#### 3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

#### 3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

#### 3.3 სასესხო ვალდებულებები

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### 3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### 3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი კაპიტალიზდება და ზრდის აქტივის ღირებულებას.

### 3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთით:

|                                                     |     |
|-----------------------------------------------------|-----|
| შენობა-ნაგებობები                                   | 5%  |
| მანქანა-დანადგარები                                 | 20% |
| ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა ინვენტარი | 20% |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

### 3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით 20 % წლიური განაკვეთით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

### 3.8 მარაგი

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
(ქართულ ლარში)

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

### 3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

### 3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

### 3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგერის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგერის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგერის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგერის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

## 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიდწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

### 5. შემოსავალი რეალიზაციიდან

|                          | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|--------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 7,704,957         | 7,091,741         |
|                          | <b>7,704,957</b>  | <b>7,091,741</b>  |

კომპანიის შემოსავალს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს პურისა და ნამცხვრების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

### 6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

|                                         | 31 დეკემბერი 2019  | 31 დეკემბერი 2018  |
|-----------------------------------------|--------------------|--------------------|
| ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა | (4,213,921)        | (3,938,727)        |
| გაყიდული / შეძენილი საქონელი            | (38,653)           | (55,203)           |
| პირდაპირი ხელფასი                       | (221,900)          | (550,971)          |
| ელექტროენერგია , გაზი, წყალი            | (356,876)          | (316,743)          |
|                                         | <b>(4,831,351)</b> | <b>(4,861,643)</b> |

### 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                            | 31 დეკემბერი 2019  | 31 დეკემბერი 2018  |
|--------------------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურება                         | (1,645,043)        | (1,003,474)        |
| პრემია                                     | -                  | (7,250)            |
| დახმარება                                  | (9,000)            | (9,000)            |
| სოციალური დანარიცხები                      | (13,005)           | -                  |
| საკანცელარიო ხარჯები                       | (4,497)            | (3,951)            |
| კომუნიკაციის ხარჯები                       | (5,093)            | (5,241)            |
| დაზღვევის ხარჯები                          | (28,574)           | (23,420)           |
| საწვავის ხარჯები                           | (182,957)          | (150,747)          |
| სატრანსპორტო საშუალებების ნაწილების შეცვლა | (103,721)          | (75,956)           |
| რემონტის ხარჯები                           | (23,665)           | (5,385)            |
| კომპიუტერის ხარჯები                        | (739)              | (1,807)            |
| საკონსულტაციო ხარჯები                      | (55,615)           | (5,754)            |
|                                            | <b>(2,071,908)</b> | <b>(1,291,985)</b> |

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

### 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

|                                       | მიწა და შენობა<br>ნაგებობები | ავტომობილები,<br>კომპიუტერები,<br>ავაჯი და სხვა | მანქანა<br>დანადგარები | არამატერიალური<br>აქტივები | სულ                |
|---------------------------------------|------------------------------|-------------------------------------------------|------------------------|----------------------------|--------------------|
| <i>საბალანსო ღირებულება</i>           |                              |                                                 |                        |                            |                    |
| <b>დეკემბერი 31, 2017</b>             | <b>1,036,352</b>             | <b>917,126</b>                                  | <b>922,466</b>         | <b>4,550</b>               | <b>2,880,494</b>   |
| მატება                                |                              | 63,124                                          | 24,833                 |                            | 87,957             |
| კლება                                 |                              | (58,047)                                        |                        |                            | (58,047)           |
| <b>დეკემბერი 31, 2018</b>             | <b>1,036,352</b>             | <b>922,202</b>                                  | <b>947,299</b>         | <b>4,550</b>               | <b>2,910,403</b>   |
| მატება                                |                              | 195,194                                         | 45,629                 | 2,500                      | 243,322            |
| კლება                                 |                              | (160,504)                                       | (26,039)               |                            | (186,543)          |
| <b>დეკემბერი 31, 2019</b>             | <b>1,036,352</b>             | <b>956,892</b>                                  | <b>966,888</b>         | <b>7,050</b>               | <b>2,967,182</b>   |
| <i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i> |                              |                                                 |                        |                            |                    |
|                                       |                              |                                                 |                        |                            | -                  |
| <b>დეკემბერი 31, 2017</b>             | <b>(123,359)</b>             | <b>(442,092)</b>                                | <b>(762,721)</b>       | <b>(2,540)</b>             | <b>(1,330,711)</b> |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | (34,698)                     | (138,554)                                       | (56,968)               | (910)                      | (231,129)          |
| ცვეთის ჩამოწერა                       |                              | 50,215                                          |                        |                            | 50,215             |
| <b>დეკემბერი 31, 2018</b>             | <b>(158,056)</b>             | <b>(530,430)</b>                                | <b>(819,688)</b>       | <b>(3,450)</b>             | <b>(1,511,625)</b> |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | (34,697)                     | (136,622)                                       | (61,467)               | (1,079)                    | (233,865)          |
| ცვეთის ჩამოწერა                       |                              | 53,304                                          | 11,267                 |                            | 64,571             |
| <b>დეკემბერი 31, 2019</b>             | <b>(192,754)</b>             | <b>(613,749)</b>                                | <b>(869,888)</b>       | <b>(4,529)</b>             | <b>(1,680,919)</b> |
| <i>ნარჩენი ღირებულება</i>             |                              |                                                 |                        |                            |                    |
|                                       |                              |                                                 |                        |                            | -                  |
| <b>დეკემბერი 31, 2017</b>             | <b>912,993</b>               | <b>475,035</b>                                  | <b>159,746</b>         | <b>2,010</b>               | <b>1,549,783</b>   |
| <b>დეკემბერი 31, 2018</b>             | <b>878,295</b>               | <b>391,772</b>                                  | <b>127,611</b>         | <b>1,100</b>               | <b>1,398,778</b>   |
| <b>დეკემბერი 31, 2019</b>             | <b>843,598</b>               | <b>343,144</b>                                  | <b>97,001</b>          | <b>2,521</b>               | <b>1,286,264</b>   |

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა ინფო ბუღალტერი. არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება წრფივად 20 % განაკვეთით

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იფელი პირველი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის  
(ქართულ ლარში)

### 9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

|                      | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|----------------------|-------------------|-------------------|
| საქონელი             | -                 | 40,282            |
| ნედლეული და მასალები | 553,346           | 402,176           |
| მზა პროდუქცია        | 11,629            | 8,409             |
| სხვა მარაგები        | 3,296             | 5,424             |
|                      | <b>568,270</b>    | <b>456,291</b>    |

### 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1,262,796         | 1,006,918         |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | 420               | -                 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | -                 | -                 |
|                                          | <b>1,263,216</b>  | <b>1,006,918</b>  |

### 11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წლის დასაწყისში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალურია გაცვლითი კურსი გახლდათ შემდეგი: ერთი აშშ დოლარი = 3.2641 ლარი და ევრო 1 = 3.8226

### 12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 24 სექტემბერს.

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

## „იფქლი პირველი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2020

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იფელი პირველი“

## სარჩევი

|                                                                                             |      |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                                                    | 3    |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                  | 4    |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება .....                                                       | 5    |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....                                                | 6    |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....                                                     | 7-12 |
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                                                   | 7    |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....                                         | 7    |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკა .....                                                                | 7    |
| 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები ..... | 9    |
| 5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....                                                            | 10   |
| 6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება .....                                                   | 10   |
| 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                                  | 10   |
| 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....                                     | 11   |
| 9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....                                                      | 12   |
